SYMPOSIUM

არაოფიციალური თარგმანი

გეოგრაფიული აღნიშვნების მსოფლიო სიმპოზიუმი

ორგანიზებულია:

ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) მიერ

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრთან – „საქპატენტთან“ თანამშრომლობით

თბილისი (ჰიბრიდული რეჟიმი), 14-16 ივნისი, 2023 წ.

დღის წესრიგი

მომზადებული WIPO-ს საერთაშორისო ბიუროს მიერ

<u>ოთხშაბათი, 14 ივნისი, 2023 წ.</u>

11.00 – 14.00 რეგისტრაცია

13.00 **გამოფენის გახსნა: ქართული გეოგრაფიული აღნიშვნები**

14.00 – 14.30 **გეოგრაფიული აღნიშვნების მსოფლიო სიმპოზიუმის გახსნა**

მისალმება:

ბ-ნი ლევან დავითაშვილი – ვიცე-პრემიერი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, თბილისი

ბ-ნი ოთარ შამუგია – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი, თბილისი

ბ-ნი დარენ ტანგი – ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) გენერალური დირექტორი (ვიდეო მიმართვა)

ქ-ნი ვანგ ბინინგი – ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) გენერალური დირექტორის მოადგილე, ბრენდებისა და დიზაინის სექტორი

ბ-ნი სოსო გიორგაძე – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ თავმჯდომარე

14.30 – 15.30 **თემა I – გეოგრაფიული აღნიშვნების ბრენდინგისა და მარკეტინგის სტრატეგიები**

გეოგრაფიული აღნიშვნები შეიძლება ფუნქციონირებდეს როგორც კოლექტიური და გეოგრაფიულ წარმოშობაზე დაფუძნებული ბრენდები. მარკეტინგისა და ბრენდინგის სტრატეგიები საჭიროებს გეოგრაფიული აღნიშვნების სპეციფიკის გათვალისწინებას. ეს სესია განიხილავს იმ გამოწვევებსა და შესაძლებლობებს, რომლებიც არსებობს გეოგრაფიული აღნიშვნების ბრენდინგში.

მოდერატორი: **ქ-ნი ირინე კალბოლი** – ტეხასის „A&M“ უნივერსიტეტის სამართლის სკოლის პროფესორი, ტეხასი, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სინგაპურის სოციალურ მეცნიერებათა უნივერსიტეტის აკადემიური თანამშრომელი და მოწვეული პროფესორი, სინგაპურის რესპუბლიკა

მომხსენებლები:

ბ-ნი ლუის ფერნანდო სამპერი – პრეზიდენტი, „4.0 ბრენდები“, კოლუმბიის რესპუბლიკა

ქ-ნი დუიგუ აქტაში – კომერციული სოციალური პროექტების კოორდინატორი, Hepsiburada, თურქეთის რესპუბლიკა

ქ-ნი მარიამა დიმე – მონიტორინგისა და შეფასების ოფიცერი, ორგანიზაციული განვითარება, „Madd de Casamance, Ziguinchor“, სენეგალის რესპუბლიკა

ბ-ნი ფლავიო ინოჩენზი – დირექტორი, „Delle Venezie PDO“-სა და „Asiago PDO“-ს მწარმოებელთა ასოციაცია, იტალიის რესპუბლიკა

15.30 – 15.45 კითხვა-პასუხი

15.45 – 16.15 შესვენება

16.15 – 17.15 **თემა II – განვითარების შერჩეული მაგალითები**

ეს სესია მიმოიხილავს მიმდინარე სიახლეებს გეოგრაფიული აღნიშვნების სფეროს განვითარების კუთხით, შერჩეულ ქვეყნებსა და ადგილწარმოშობის დასახელებებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების ლისაბონის სისტემაში

მოდერატორი: **ქ-ნი პილარ მონტერო** – ალიკანტეს უნივერსიტეტის კომერციული სამართლის პროფესორი, ინტელექტუალური საკუთრებისა და ციფრული ინოვაციის მიმართულების დირექტორი, ესპანეთის სამეფო

მომხსენებლები:

ქ-ნი ალექსანდრა გრაციოლი – ლისაბონის რეესტრის დირექტორი, სასაქონლო ნიშნების, სამრეწველო ნიმუშებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტი, WIPO

ქ-ნი მერი მაჭარაშვილი – სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსი, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – „საქპატენტი“

ბ-ნი თამას კირალი – პოლიტიკისა და სამართლის ოფიცერი, შიდა ბაზრის, მრეწველობის, მეწარმეობისა და მცირე და საშუალო ბიზნესის გენერალური დირექტორატი (GROW), ევროკომისია

ქ-ნი ეველინა სლივინსკა – უფროსი იურიდიული მრჩეველი, იური-დიული დეპარტამენტი, ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყება (EUIPO)

ქ-ნი აიდინ არტიკოვა – დირექტორის მოადგილე, ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ინსტიტუტი, ყაზახეთის რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო, ყაზახეთის რესპუბლიკა

ქ-ნი ლაი ინგი – დირექტორის მოადგილე, ექსპერტიზის V სამმართველო, სასაქონლო ნიშნების უწყება, ჩინეთის ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ადმინისტრაცია (CNIPA), ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა

17.15-17.30 კითხვა-პასუხი

18.00 მიღება

<u>ხუთშაბათი, 15 ივნისი, 2023 წ.</u>

9.00 – 10.00 **თემა III – გეოგრაფიული აღნიშვნები ტურიზმის ღირებულებათა ჯაჭვში: გასტრონომიული ტურიზმი / ენოტურიზმი**

ეს სესია მიმოიხილავს გეოგრაფიული აღნიშვნების პოპულარიზაციის გავლენას ტურიზმის სექტორის განვითარებაზე გეოგრაფიული აღნიშვნების წარმოშობის ადგილებში.

მოდერატორი: **ბ-ნი ანტონიო** ლოპეს დე ავილა – გლობალური მენეჯერი, პროგრამა „ტურიზმი სოფლის განვითარების“, ბაზრის კვლევისა და კონკურენტუნარიანობის დეპარტამენტი, გაეროს ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაცია (UNWTO)

მომხსენებლები:

ბ-ნი ფერნანდო კანო ტრევინიო – ტეკილას მარეგულირებელი საბჭოს (CRT) წარმომადგენელი, შვეიცარიის კონფედერაცია

ქ-ნი ლინზი გალაჰერი – პრეზიდენტი და აღმასრულებელი დირექტორი, Visit Napa Valley, ამერიკის შეერთებული შტატები

ქ-ნი კიტიაპორნ სათჰუსენი – დირექტორი, გეოგრაფიული აღნიშვნების უწყება, ტაილანდის ინტელექტუალური საკუთრების დეპარტამენტი, ტაილანდის სამეფო

პროფესორი პაბუდა განგული – აღმასრულებელი დირექტორი Vision-IPR, ინდოეთის რესპუბლიკა

10.00 – 10.15 კითხვა-პასუხი

10.15 – 10.45 შესვენება

10.45 – 11.45 **თემა IV – გეოგრაფიული აღნიშვნების მართვა და ხარისხი**

მწარმოებელთა გაერთიანებების მიერ გამოყენებული გეოგრაფიული აღნიშვნით დაცული პროდუქტის წარმატება დიდწილად იქნება დამოკიდებული ეფექტიანი მმართველობისა და ხარისხის კონტროლის სტრუქტურებზე. ეს სესია მიმოიხილავს სხვადასხვა მიდგომასა და გამოწვევას ამ საკითხთან დაკავშირებით.

მოდერატორი: **ქ-ნი ვალერი პიეპრზოვნიკი** – ექსპერტი გეოგრაფიული აღნიშვნების დარგში, სურსათისა და კვების სამმართველო, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO)

მომხსენებლები:

ბ-ნი ფილიპ ბარდე – „Interprofession du Gruyère“-ს დირექტორი, შვეიცარიის კონფედერაცია

ქ-ნი ნურია აკერმანი – „PAMPAT 2 project Tunisia“-ს მთავარი ტექნიკური მრჩეველი, გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაცია (UNIDO)

ბ-ნი რენე კლოდ ელოგო მეტომი – პრეზიდენტი, „PGI Poivre de Penja-ს“ მწარმოებელთა ჯგუფი, კამერუნის რესპუბლიკა

ქ-ნი ედრიენ ტომპსონი – დირექტორის მოადგილე, იამაიკის ინტელექტუალური საკუთრების უწყება (JIPO), იამაიკა

11.45 – 12.00 კითხვა-პასუხი

12.00 – 14.00 სადილი

14.00 – 15.00 **თემა V – გეოგრაფიული აღნიშვნები, სავაჭრო და საერთო სახელწოდებები**

ორმხრივი თუ მრავალმხრივი შეათანხმებების საფუძველზე, გეოგრაფიული აღნიშვნების საერთაშორისო დაცვა წარმოქმნის რიგ სადავო საკითხებს, რომლებიც დღემდე განხილვის საგანს წარმოადგენს. ეს სესია იძლევა შესაძლებლობას, წარმოდგენილ და განხილულ იქნეს სხვადასხვა პოზიცია და არგუმენტი.

მოდერატორი: **ბ-ნი ტონი ტაუბმანი** – დირექტორი, ინტელექტუალური საკუთრება, სახელმწიფო შესყიდვებისა და კონკურენციის სამმართველო, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია (WTO)

მომხსენებლები:

ბ-ნი ალენ ჯონსონი – საერთო სახელების მქონე კვების პროდუქტების კონსორციუმის (CCFN) კონსულტანტი, ამერიკის შეერთებული შტატები

ბ-ნი რაიმონდო სერა – უფროსის მოადგილე „AGRI.G.3“ -ის აზიისა და ავსტრალიის განყოფილება, ევროკომისია

ბ-ნი მარტინ ალვესი – მინისტრის მრჩეველი, ურუგვაის მუდმივი მისია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში (WTO)

ბ-ნი რიკარდო დესერტი – პრეზიდენტი, გეოგრაფიული აღნიშვნების საერთაშორისო ქსელი-ორგანიზაცია (oriGIn) და გენერალური დირექტორი, „Parmigiano Reggiano“-ს მწარმოებელთა კონსორციუმი, იტალიის რესპუბლიკა

15.00 – 15.15 კითხვა-პასუხი

15.15 – 15.45 შესვენება

15.45 – 16.45 **თემა VI – თანამშრომლობა გეოგრაფიული აღნიშვნებისთვის – სესია და ღია დისკუსია**

გეოგრაფიული აღნიშვნები არის ინტელექტუალური საკუთრების ერთ-ერთი ფორმა, რომელიც ხელმისაწვდომია მწარმოებლებისთვის ეკონომიკური განვითარების ყველა დონეზე. განვითარებადი ქვეყნების მეწარმეთა მიერ გეოგრაფიული აღნიშვნების პოტენციალის გაცნობიერების მიზნით, რიგი საერთაშორისო ორგანიზაციები თანამშრომლობენ და დახმარებას უწევენ მათ. ეს სესია მიმოიხილავს საჭიროებებს, ხელშეწყობისა და დახმარების კუთხით არსებულ მიდგომებს, ეფექტიანი ხელშეწყობის განხორციელებისთვის კოორდინაციის გზებს. შედგება ღია დისკუსია, რომელშიც ყველას ექნება აქტიური მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა.

მოდერატორი: **ბ-ნი მარკუს ჰოპერგერი** – სასაქონლო ნიშნების, სამრეწველო დიზაინისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსი დირექტორი, WIPO

მომხსენებლები:

ქ-ნი ვალერი პიეპრიზოვნიკი – გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO)

ბ-ნი სტეფანო ინამა – ტექნიკური თანამშრომლობისა და გაძლიერებული ინტეგრირებული ჩარჩოს (EIF) განყოფილების უფროსი, გაერთიანებული ერების კონფერენცია ვაჭრობისა და განვითარების შესახებ (UNCTAD)

ქ-ნი ალექსანდრა გრაციოლი – დირექტორი, ლისაბონის რეესტრის სასაქონლო ნიშნების, სამრეწველო ნიმუშებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტი, WIPO

ბ-ნი ნაომე ბეიგბერდი – გუნდის ლიდერი, ეკონომიკური პარტნიორების ხელშეკრულებები და გეოგრაფიული აღნიშვნები, ევროკომისია, ბრიუსელი.

ქ-ნი ნენსი ომელკო – საერთაშორისო სავაჭრო ნიშნების მთავარი მრჩეველი, ამერიკის შეერთებული შტატების საპატენტო და სასაქონლო ნიშნების უწყება (USPTO), ამერიკის შეერთებული შტატები

ქ-ნი მაგიუ ნუკო – გენერალური დირექტორის მრჩეველი, პროექტის კოორდინატორი, აფრიკის ინტელექტუალური საკუთრების ორგანიზაცია (OAPI), კამერუნის რესპუბლიკა

16.45 – 17.00 კითხვა-პასუხი

17.00 დასკვნითი მიმართვა:

ბ-ნი სოსო გიორგაძე – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ თავმჯდომარე

ბ-ნი მარკუს ჰოპერგერი – სასაქონლო ნიშნების, სამრეწველო დიზაინისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსი დირექტორი, WIPO

<u>პარასკევი, 16 ივნისი, 2023 წ.</u>

ექსკურსია – „შატო მუხრანი“ (მხოლოდ უცხოელი მონაწილეებისათვის)